

მათემატიკის ოლიმპიადის პირველი ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-5 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და 6 ბონუს დავალებისგან. თითოეულს თან ახლავს 3 სავარაუდო პასუხის. ძირითადი ნაწილის ჯამური ქულაა 50. ყველა ძირითადი სავარჯიშო არის 5 ქულიანი, ხოლო ბონუს დავალებები 3 ქულიანი.

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამოცანის პირობას. ჯერ უნდა ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი.

ფინალში გამსვლელი ქულაა: 21 (და ყველა 21-ზე მეტი ქულა)

ტესტები არ იქნება დაყოფილი თემატიკის მიხედვით, თუმცა შინაარსობრივად შეგხვდება შემდეგი თემები:

არითმეტიკული მოქმედებები და რიცხვთა თვისებები

ეს კატეგორია მოიცავს რიცხვების დამრგვალებას კონკრეტულ თანრიგამდე, ნაშთიანი გაყოფის პრინციპებს, რთული არითმეტიკული გამოსახულებების გამარტივებასა და ლუწ/კენგ რიცხვებზე ლოგიკური ოპერაციების შესრულებას.

მაგალითი: რა ნათშს მივიღებთ, 35-ის 6-ზე გაყოფისას?

- A) 1 B) 5 C) 6

კანონზომიერებები და მათემატიკური ლოგიკა

დავალებები ამოწმებს რიცხვითი მიმდევრობების გაგრძელების უნარს და თეორიული მათემატიკური დებულებების (გაყოფადობის ნიშნები, წილადების თვისებები) ჭეშმარიტების შეფასებას.

მაგალითი: დაადგინეთ კანონზომიერება და იპოვეთ შემდეგი რიცხვი: 1; 2; 4; 8; ...

- A) 12 B) 16 C) 13

გეომეტრია და სივრცითი აზროვნება

აქ მოსწავლეს მოეთხოვება სივრცული ფიგურების თვისებების (მაგალითად, სფეროს წვეროების რაოდენობის) ცოდნა და 3D ობიექტების ურთიერთგანლაგების, შეხების წერტილებისა თუ უხილავი მხარეების ლოგიკური ანალიზი.

მაგალითი: რამდენი წვერო აქვს კუბს?

- A) უამრავი B) 1 C) 8

პრაქტიკული გექსტური ამოცანები

ეს ნაწილი აერთიანებს ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ამოცანებს, როგორცაა კალენდარული დროის გამოთვლა და კონკრეტული სამუშაოს დასასრულებლად საჭირო დროის დადგენა.

მაგალითი: რამდენ წუთში დაწერს თოკო 200 სიგყვიან ნაშრომს, თუ წუთში 10 სიგყვას წერს?

A) 2

B) 20

C) 2000